

## საარქივო ობიექტის ტექნიკური და ორგანიზაციული აღწერის სტანდარტი

### შინაარსი

1. ტერმინთა განმარტება - 1 გვ.
2. გამოყენების სფერო - 2 გვ.
3. საარქივო ობიექტის პაკეტი - 2 გვ.
4. root.xml ფაილის აღწერა - 3 გვ.

### 1. ტერმინთა განმარტება

**ელექტრონული დოკუმენტი** - ელექტრონული ფორმით შენახული ტექსტობრივი ან/და ვიზუალური ინფორმაციის ან/და მონაცემთა ერთობლიობა.

**ეროვნული საარქივო ფონდი** - საქართველოს ტერიტორიაზე არსებული იმ დოკუმენტების (განურჩევლად მათი მატარებლის სახეობისა) ერთობლიობა, რომლებსაც აქვთ ისტორიული, რელიგიური, მეცნიერული, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ღირებულება. ეროვნულ საარქივო ფონდს აგრეთვე მიეკუთვნება სხვა სახელმწიფოებში დაცული დოკუმენტები, რომლებიც, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, უნდა დაუბრუნდეს ან გადმოეცეს საქართველოს.

**მეტამონაცემი** - ინფორმაცია, რომელიც აღწერს ელექტრონული დოკუმენტის მონაცემებს.

**საარქივო ობიექტი** - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 16 ივნისის N174 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების“ თანახმად, ეროვნული საარქივო ფონდისადმი მიკუთვნებული მმართველობითი დოკუმენტებისათვის განისაზღვრება ორგანიზების 4 დონიანი იერარქია (ფონდი, ანაწერი, საქმე, დოკუმენტი). სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებისა და დაწესებულებებისათვის შეიძლება განისაზღვროს განსხვავებული იერარქიული სისტემა. ნებისმიერი იერარქიული სისტემის ყოველ დონეს ეწოდება საარქივო ობიექტი.

**საქადალდე** - ციფრული სივრცე, რომელშიც შესაძლებელია ელექტრონული ფაილების თავმოყრა.

**AIP (Archival Information Package)** - საარქივო ობიექტის პაკეტი, რომელიც გამოიყენება არქივში შესანახად.

**SIP (Submission Information Package)** - საარქივო ობიექტის პაკეტი, რომელიც გამოიყენება სხვა პირისათვის გადასაცემად.

## 2. გამოყენების სფერო

საარქივო ობიექტის ტექნიკური და ორგანიზაციული აღწერის სტანდარტი განსაზღვრავს იმ საბაზისო და სავალდებულო მეტამონაცემებს, რომლებიც განაწესებენ საარქივო ობიექტის ტექნიკური და ორგანიზაციული ანოტაციები.

აღნიშნული მეტამონაცემები ივსება საარქივო ობიექტის შექმნისთანავე და ახლდება მასზე ნებისმიერი მანიპულაციის დროს, მათ შორის, ობიექტის რედაქტირების, სხვა შემნახველ დაწესებულებაში გადაგზავნის, ფომრატების მიგრაციის და საჭიროების შემთხვევაში მისი წაშლის შემთხვევაშიც.

ტექნიკური ანოტაცია გულისხმობს მეტამონაცემების ერთობლიობას, რომელიც აღწერს დოკუმენტის დონის საარქივო ობიექტის ან მისი ნებისმიერი აღმწერი ფაილის (მათ შორის წინამდებარე სტანდარტით შექმნილი პაკეტის) ტექნიკურ პარამეტრებს.

ორგანიზაციული ანოტაცია გულისხმობს მეტამონაცემების ერთობლიობას, რომელიც აღწერს ნებისმიერი დონის საარქივო ობიექტზე ან მის ნებისმიერ აღმწერ ფაილზე (მათ შორის წინამდებარე სტანდარტით შექმნილ პაკეტზე) ნებისმიერ ადმინისტრაციულ ქმედებას (ობიექტის რედაქტირება, გადაგზავნა, ფომრატების მიგრაცია, წაშლა და ა.შ.).

## 3. საარქივო ობიექტის პაკეტი

3.1 საარქივო ობიექტის პაკეტი არის რამდენიმე ელექტრონული ფაილის ერთობლიობა, რომლებიც ორგანიზებულია განსაზღვრული იერარქიით. ელექტრონულ ფაილებში ივსება შესაბამისი მეტამონაცემები, რომლებიც ორგანიზებული უნდა იყოს EAD სტანდარტით<sup>1</sup> განსაზღვრული სქემის მიხედვით. აღნიშნული ელექტრონული ფაილები ერთიანდებიან ერთ პაკეტში (ერთ საქაღალდეში).

პაკეტის დასახელება უნდა ემთხვეოდეს „ელექტრონული დოკუმენტის შინაარსის აღწერის სტანდარტში“ საარქივო ობიექტის იმ დონის იდენტიფიკატორს (ველის კოდი: 3.1.1), რა დონეზეც შედგენილია კონკრეტული პაკეტი.

3.2 პაკეტს გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

- „root.xml” - ელექტრონული ფაილი შეიცავს პაკეტის სტრუქტურის და მისი შემადგენლობის შესახებ ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ ინფორმაციას, რაც დეტალურად განხილულია წინამდებარე სტანდარტის მე-4 პუნქტში;
- „metadata” - საქაღალდე შედგება 2 ქვესაქაღალდისგან:

---

<sup>1</sup> საარქივო აღწერების კოდირების სტანდარტი Encoded Archival Description (<https://www.loc.gov/ead>)

- „descriptive” - ქვესაქალაქედ შედგება „ქალაქდისფუქიანი დოკუმენტების დიგიტალიზაციის ტექნიკურ სტანდარტში“ მითითებული შინაარსობრივი, ტექნიკური და ორგანიზაციული ანოტაციების XML ფაილებისგან, რომელთა სახელწოდება და იერარქია ემთხვევა აღნიშნულ სტანდარტში აღწერილ წესს. XML ფაილებში მოცემულია წინამდებარე სტანდარტით აღწერილი მეტამონაცემები, რომლებიც ორგანიზებულია EAD საერთაშორისო სტანდარტის სქემით. ქვესაქალაქედ სავალდებულოა ნებისმიერი დონის საარქივო ობიექტისათვის;
- „preservation“ - ქვესაქალაქედში ერთიანდება ის ანგარიშები, რომელიც დააგენერირეს სხვადასხვა პროგრამებმა ელექტრონული ფაილების ტექნიკური ანალიზის შედეგად.
- „records“ - საქალაქედ შეიცავს უშუალოდ ელექტრონულ დოკუმენტებს, ორგანიზებულს „ქალაქდისფუქიანი დოკუმენტების დიგიტალიზაციის ტექნიკურ სტანდარტში“ მოცემული იერარქიით. ამავე დროს, ელექტრონული დოკუმენტები შეიძლება ინახებოდეს სასერვერო ინფასტრუქტურაში და არა ამ საქალაქედში. საქალაქედ ძირითადად გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტების სხვა საარქივო დაწესებულებაში გადაგზავნის დროს.

**4. root.xml ფაილის აღწერა**

root.xml ფაილი მოიცავს მეტამონაცემებს როგორც მთლიანად პაკეტის, ასევე მისი შემადგენლობის შესახებ. პაკეტის შესახებ ივსება შემდეგი მეტამონაცემები:

ტეგი	ტიპი	სავალდებულო	აღწერა
OBJID	string	კი	საარქივო ობიექტის (იმ დონის, რა დონეზეც პაკეტი იქმნება) იდენტიფიკატორი
LABEL	string	არა	საარქივო ობიექტის (იმ დონის, რა დონეზეც პაკეტი იქმნება) სათაური
CHECKSUM	string	კი	პაკეტის საკონტროლო ჯამური მნიშვნელობა
CHECKSUMTYPE	enumerated string	კი	პაკეტის საკონტროლო ჯამის გამოთვლის ალგორითმი. შეიძლება იყოს: Adler-32, CRC32, HAVAL, MD5, MNP, SHA-1, SHA-256, SHA-384, SHA-512, TIGER და WHIRLPOOL

პაკეტის შემადგენლობის შესახებ ივსება შემდეგი მეტამონაცემები:

**4.1 ქვეპუნქტი „თავსართი“ (<metsHdr>)**

ქვეპუნქტი „თავსართი“ მოიცავს ზოგად ინფორმაციას ელექტრონული ფაილის შესახებ. ის შემდეგი მეტამონაცემებისაგან შედგება:

ტეგი	ტიპი	სავალდებულო	აღწერა
ID	ID	კი	metsHdr
CREATEDATE	dateTime	კი	root.xml ფაილის შექმნის თარიღი
LASTMODDATE	dateTime	არა	root.xml ფაილის განახლების თარიღი
RECORDSTATUS	string	კი	root.xml ფაილის სტატუსი. შესაძლო ვარიანტებია: FINISHED, NOT FINISHED
csip:OAISPACKAG ETYPE	string	კი	AIP <sup>2</sup>

#### 4.2 ქვეპუნქტი „აგენტები“ (<agent>)

ქვეპუნქტი „აგენტები“ მოიცავს მონაცემებს root.xml ფაილის შემქმნელი სუბიექტის შესახებ. ის შემდეგი მეტამონაცემებისაგან შედგება:

ტეგი	ტიპი	სავალდებულო	აღწერა
ID	string	კი	შედგება: სიტყვა „agent“, ტირე „-“ და მთვლელი. მაგალითად, „agent-1“, „agent-2“ და ა.შ.
ROLE	string	კი	შესაძლო ვარიანტებია: CREATOR - ელექტრონული ფაილის შექმნელი, EDITOR - ელექტრონული ფაილის განმახლებელი, IPOWNER - საავტორო უფლებების ან სხვა სახის ინტელექტუალური საკუთრების მფლობელი
TYPE	string	კი	ელ.ფაილის შემქმნელი, განმახლებელი ან მფლობელი პირი. შესაძლო ვარიანტებია: INDIVIDUAL - ფიზიკური პირი, ORGANIZATION - იურიდიული პირი
NAME	string	კი	ფიზიკური/იურიდიული პირის სახელი და გვარი/დასახელება
NOTE	string	არა	დამატებითი ინფორმაცია ფიზიკური/იურიდიული პირის შესახებ
@csip:NOTETYPE	string	არა	პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო კოდი

<sup>2</sup> პაკეტს გადაგზავნის დროს მიეთითება „SIP“ სტატუსი. მხოლოდ პაკეტის შემოწმების და საარქივო დაწესებულებაში მიღების შემდეგ სტატუსი იცვლება და მიეთითება „AIP“ სტატუსი.

#### 4.3 ქვეპუნქტი „აღწერილობითი მეტამონაცემები“ (<dmdSec>)

საარქივო ობიექტის შინაარსობრივი აღწერისათვის გამოიყენება მეტამონაცემები „ელექტრონული დოკუმენტის შინაარსის აღწერის სტანდარტის“ მიხედვით, რომლებიც მოცემული უნდა იყოს ცალკე ელექტრონულ ფაილებში. ქვეპუნქტი „აღწერილობითი მეტამონაცემები“ ამ ელექტრონულ ფაილებთან კავშირს უზრუნველყოფს. ის შემდეგი მეტამონაცემებისაგან შედგება:

ტეგი	ტიპი	სავალდებულო	აღწერა
ID	ID	კი	შედგება: სიტყვა „dmdSec“, ტირე „-“ და საარქივო ობიექტის იდენტიფიკატორი „ელექტრონული დოკუმენტის შინაარსის აღწერის სტანდარტის“ მიხედვით. საარქივო ობიექტების იერარქიის შემთხვევაში ყველა მათგანის დასახელება ორგანიზებული უნდა იყოს იგივე იერარქიით
GROUPID	string	კი	ვერსიების დაჯგუფება. „dmdSec“-ის ყოველ დონეზე ვერსია მიეთითება. მაგალითად, „dmdVersion-1“ და „dmdVersion-2“ ნიშნავს, რომ მეორე განახლებული ვერსია გვაქვს, ხოლო პირველი ძველი ვერსიაა. აღსანიშნავია, რომ თავად ძველი ვერსიის აღწერის ელექტრონული ფაილის სახელში იცვლება მხოლოდ dmdVersion-ის შესაბამისი ნომერი, ელექტრონული ფაილის შენახვის ადგილი კი უცვლელი რჩება
CREATED	dateTime	კი	dmdSec-ის შექმნის თარიღი
STATUS	string	კი	შესაძლო ვარიანტებია: CURRENT - მიმდინარე, მოქმედი ვერსია, PREVIOUS - მოძველებული, არააქტიური ვერსია

აღწერილობითი ინფორმაცია პაკეტში ინახება root->metadata->descriptive საქაღალდეში, როგორც ცალკე XML ფაილი. შესაბამისად, dmdSec-ში ამ ელექტრონულ ფაილთან ბმული უნდა გაიწეროს. აღნიშნული ბმულის გაწერა ხდება <mdRef> ტეგის მეშვეობით. ის შემდეგი მეტამონაცემებისაგან შედგება:

ტეგი	ტიპი	სავალდებულო	აღწერა
------	------	-------------	--------

ID	ID	არა	შედგება: სიტყვა „mdRef“, ტირე „-“ და dmdSec-ის ID
MIMETYPE	string	არა	აღწერის ელექტრონული ფაილის მედია ტიპი (MIME), კლასიფიცირებული IANA <sup>3</sup> კატალოგით
LABEL	string	არა	დაკავშირებული XML ფაილის სახელწოდება
LOCTYPE	string	კი	ბმულის ტიპი კონკრეტულ ლოკაციაზე. შესაძლო ვარიანტებია: ARK, URN, URL, PURL, HANDLE, DOI და OTHER
OTHERLOCTYPE	string	არა	მიუთითებს ბმულის ტიპს. ივსება თუ LOCTYPE ტეგში მითითებულია OTHER ვარიანტი
MDTYPE	string	კი	მეტამონაცემების სტრუქტურა ივსება EAD სტანდარტის სქემით. შესაბამისად ამ ველში იწერება ამ სქემის დასახელება EAD
MDTYPEVERSION	String	არა	MDTYPE-ში მითითებული სტანდარტის ვერსია
SIZE	long	არა	აღწერის ელექტრონული ფაილის ზომა ბაიტებში
CREATED	dateTime	არა	აღწერის ელექტრონული ფაილის შექმნის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი, საათი, წუთი, წამი)
CHECKSUM	string	არა	აღწერის ელექტრონული ფაილის საკონტროლო ჯამური მნიშვნელობა
CHECKSUMTYPE	enumerated string	არა	აღწერის ელექტრონული ფაილის საკონტროლო ჯამის გამოთვლის ალგორითმი. შესაძლოა იყოს: Adler-32, CRC32, HAVAL, MD5, MNP, SHA-1, SHA-256, SHA-384, SHA-512, TIGER და WHIRLPOOL

#### 4.4 ქვეპუნქტი „ადმინისტრაციული მეტამონაცემები“ <amdSec>

ქვეპუნქტში „ადმინისტრაციული მეტამონაცემები“ მიეთითება ადმინისტრაციული ინფორმაცია ელექტრონული ფაილის მიგრაციის შესახებ. ის გამოიყენება მხოლოდ დოკუმენტის დონის საარქივო ობიექტისათვის და შემდეგი მეტამონაცემებისაგან შედგება:

<sup>3</sup> მედია ტიპების კატალოგი IANA (Internet Assigned Numbers Authority) - <https://www.iana.org/assignments/media-types/media-types.xhtml>

ტეგი	ტიპი	სავალდებულო	აღწერა
ID	ID	კი	შედგება: სიტყვა „amdSec“, ტირე „-“ და საარქივო ობიექტის იდენტიფიკატორი „ელექტრონული დოკუმენტის შინაარსის აღწერის სტანდარტის“ მიხედვით. საარქივო ობიექტების იერარქიის შემთხვევაში ყველა მათგანის დასახელება ორგანიზებული უნდა იყოს იგივე იერარქიით
GROUPID	string	არა	ვერსიების დაჯგუფება. „dmdSec“-ის ყოველ დონეზე ვერსია მიეთითება. მაგალითად, „dmdVersion-1“ და „dmdVersion-2“ ნიშნავს, რომ მეორე განახლებული ვერსია გვაქვს, ხოლო პირველი ძველი ვერსიაა. აღსანიშნავია, რომ თავად ძველი ვერსიის აღწერის ელექტრონული ფაილის სახელში იცვლება მხოლოდ dmdVersion-ის შესაბამისი ნომერი, შენახვის ადგილი კი უცვლელი რჩება
CREATED	dateTime	კი	amdSec-ის შექმნის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი, საათი, წუთი, წამი)
STATUS	string	კი	amdSec-ის მეტამონაცემების სტატუსი. შესაძლო ვარიანტებია: „CURRENT“ - მიმდინარე, მოქმედი ვერსია, „PREVIOUS“ - მოძველებული, არააქტიური ვერსია
TOOL	string	არა	გამოყენებული ხელსაწყო
MIGRATION: DATE	dateTime	არა	ელექტრონულ ფაილის მიგრაციის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი, საათი, წუთი, წამი)
MIGRATION: DATA	string	არა	იწერება ინფორმაცია მიგრაციის შესახებ

#### 4.5 ქვეპუნქტი „ელექტრონული ფაილების განყოფილება“ <fileSec>

ქვეპუნქტში „ელექტრონული ფაილების განყოფილება“ მითითებულია ინფორმაცია საარქივო ობიექტების იერარქიის შესახებ. მისი მთავარი ტეგია <fileSec>, რომელიც შემდეგ მეტამონაცემებს მოიცავს:

ტეგი	ტიპი	სავალდებულო	აღწერა
------	------	-------------	--------

ID	ID	არა	შედგება: სიტყვა „fileSec“, ტირე „-“ და საარქივო ობიექტის იდენტიფიკატორი „ელექტრონულ დოკუმენტის შინაარსის აღწერის სტანდარტის“ მიხედვით. საარქივო ობიექტების იერარქიის შემთხვევაში ყველა მათგანის დასახელება ორგანიზებული უნდა იყოს იგივე იერარქიით
----	----	-----	---

აღნიშნულ განყოფილებაში მოყვანილია ინფორმაცია თავად ელექტრონული დოკუმენტების შესახებ. მისი მთავარი ტეგია <file>, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

ტეგი	ტიპი	სავალდებულო	აღწერა
ID	ID	კი	შედგება: სიტყვა „file“, ტირე „-“ და fileSec-ის ID
MIMETYPE	string	კი	აღწერის ელექტრონული ფაილის მედია ტიპი (MIME), კლასიფიცირებული IANA <sup>4</sup> სტანდარტით
NAME	string	კი	ელექტრონული დოკუმენტის დასახელება „ქალაქისფუმიანი დოკუმენტების დიგიტალიზაციის ტექნიკური სტანდარტის“ მიხედვით
SIZE	integer	არა	ელექტრონული დოკუმენტის ზომა ბაიტებში
CREATED	dateTime	არა	ელექტრონული დოკუმენტის შექმნის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი, საათი, წუთი, წამი)
CHECKSUM	String	არა	ელექტრონული დოკუმენტის საკონტროლო ჯამური მნიშვნელობა
CHECKSUMTYPE	string	არა	ელექტრონული დოკუმენტის საკონტროლო ჯამის გამოთვლის ალგორითმი. შესაძლოა იყოს: Adler-32, CRC32, HAVAL, MD5, MNP, SHA-1, SHA-256, SHA-384, SHA-512, TIGER და WHIRLPOOL
OWNERID	string	კი	ინტერნეტსივრცეში ფაილის URI მისამართი

<sup>4</sup> მედია ტიპების კატალოგი IANA (Internet Assigned Numbers Authority) - <https://www.iana.org/assignments/media-types/media-types.xhtml>



DMDID	IDREFS	არა	ზმული აღწერილობით ქვეპუნქტში არსებულ იმ <dmdSec>-ის ID-თან, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული ელექტრონული დოკუმენტის შესახებ
AMDID	IDREFS	არა	ზმული აღწერილობით ქვეპუნქტში არსებულ იმ <amdSec>-ის ID-თან, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული ელექტრონული დოკუმენტის შესახებ
SCANNER OPERATOR	string	არა	ელექტრონული დოკუმენტის უშუალო შემქმნელის (ხოლო სკანირებისას - დამსკანერებლის) სახელი და გვარი